ხელშეკრულება # 06/06/2022

ქ. თბილისი 06/06/2022

ერთის მხრივ შპს ,,World Wide Web Intelligence“ (ს/კ 404920190) შემდგომში „შემსრულებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის გერმანე კუპრეიშვილის სახით, და მეორეს მხრივ სს „საქკაბელი“ (ს/კ 230026888), შემდგომში ,,დამკვეთი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე ჯანანაშვილი სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მიზანი

1.1 ამ ხელშეკრულების მიზანია მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცალკეული შეთანხმებ(ებ)ის დადების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა და ცალკეული შეთანხმებ(ებ)იდან გამომდინარე ურთიერთობების დარეგულირება.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთი და შემსრულებელი მხარეები თანხმდებიან, რომ შემსრულებელი კომპანია სამუშაოებს შეასრულებს მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმებების (შემდგომში დანართი #1-ს) საფუძველზე.

2.2 ყოველი ახალი წერილობითი შეთანხმება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 თითოეული შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები, ღირებულება და ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

2.4 ხელშეკრულება მოიცავს დამკვეთის ვებ საიტის (დანართი #1) შექმნას.

3 შემსრულებლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეთანხმებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.
- ვალდებულია შეატყობინოს დამკვეთს შესასრულებელი ამოცანის მიმდინარეობის ეტაპი დამკვეთის მოთხოვნისთანავე.

3.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

- უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაზე ან შესრულების გაგრძელებაზე, თუ მიუხედავად შემსრულებლის დროული და დასაბუთებული გაფრთხილებისა დამკვეთი რეალურ ვადებში არ უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოსთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ან მიწოდებული ინფორმაციის უვარგისობის ან უხარისხობის შემთხვევაში არ მიიღებს შესაბამის ზომებს აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.
- მიიღოს გაწეული სამუშაოებისათვის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.
- ხელშეკრულებით გათვალიწინებული სამუშაოების საფასურის გადახდის საბოლოო ვადის გადაცდენის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს მომსახურების გაწევა.

4 დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები

4.1 დამკვეთი ვალდებულია;

- წინამდებარე ხელშეკრულებით და მისგან გამომდინარე შეთანხმებ(ებ)ით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების მიზნით დროულად და ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში მიაწოდოს შემსრულებელს საჭირო ინფორმაცია.
- დროულად მიიღოს და აანაზღაუროს შემსრულებლის სამუშაო, წინამდებარე ხელშეკრულებით და მისგან გამომდინარე შეთანხმებ(ებ)ით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადების შესაბამისად.
- ხელი შეუწყოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში. ხარვეზების გამოვლენისთანავე შეატყობინოს შემსრულებელს სამუშაოების შესრულების დროს შემჩნეული ნაკლოვანებებზე.

4.2 დამკვეთი უფლებამოსილია;

- მოითხოვოს შემსრულებლისგან წინამდებარე ხელშეკრულებით და მისგან გამომდინარე შეთანხმებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
- დამკვეთს აქვს უფლება მიიღოს ოპერატიული ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობაზე.

5 სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წერილობითი შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთანავე შემსრულებლისა და დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტს.

6 სამუშაოების ღირებულება, ანგარიშსწორების წესი და ვადები

6.1 შესასრულებელი სამუშაების ღირებულება განისაზღვრება 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარით

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 3 (ოთხ) ეტაპად:

- ხელშეკრულების გაფორმებისას - 25%
- სატესტო გარემოზე გამართვისას - 50%
- გალაივებისას - 25%

6.3 ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის შესრულებული სამუშაოს პროპორცულად.

7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9 ინფორმაციის კონფიდენციალობა

9.1 დამკვეთი და შემსრულებელი ვალდებულებას იღებენ დაიცვან ერთმანეთისგან მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობა ხელშეკრულების მოქმედების ვადების შეუზღუდავად.

10 ფორსმაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული აღსრულებისაგან, თუ მათ შესრულებას ხელს უშლის ფორსმაჟორული სიტუაცია.

10.2 ფორსმაჟორის პირობებში მხარეები გულისხმობენ ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: მიწისძვრა, ხანძარი, სხვა სტიქიური უბედურებები, ეპიდემია, ავარიები, აფეთქებები, საომარი მოქმედებები, ინტერნეტ პროვაიდერის მხრიდან შეფერხების ან ელექტროენერგიის შეზღუდვებით გამოწვეული შეფერხებებით. ასევე კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.3 ფორსმაჟორის შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს გახდის ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ამგვარი გარემოებების წარმოშობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევს, იმის მიხედვით თუ რამდენი ხანი გრძელდება ფორსმაჟორი.

10.4 თუ ფორსმაჟორული სიტუაცია გრძელდება 3 (სამი) თვის მანძილზე და შეწყვეტის ნიშნები არ ჩანს, წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დამკვეთისა და შემსრულებლის მიერ, მეორე მხარისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თუ მეორე მხარის მიერ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას.

11.2 დამკვეთი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზეც წინასწარ უნდა აცნობოს შემსრულებელს წერილობით.

11.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაშიც.

12 დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13 სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძელებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის ან პუნქტის გარეშეც.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.4 ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ყველა შეთანხმება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი

შპს „World Wide Web Intelligence “

ს/კ 404920190

მის: ქ.თბილისი, შარტავას 18, 0189

ბანკი: სს თიბისი ბანკი

ა/ა: GE06TB7486036020100004

დირექტორი:

გერმანე კუპრეიშვილი

Germane Kupreishvili 62007013991

Digitally signed by Germane Kupreishvili
Date: 2022.06.10 10:40:19

დამკვეთი

სს „საქკაბელი“

ს/კ 230026888

მის : ქ. თბილისი, საირმის ქუჩა #83

ბანკი: სს თიბისი ბანკი

ა/ა: GE21TB0300000010467415

დირექტორი:

კონსტანტინე ჯანანაშვილი